სახალხო გაზეთი+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 6 (4527) • 23 მარტი • 2016 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

ახალსახლობას გილოცავთ, 128-ე ბაგა-ბაღელებო!

არის, ასრულდა ოცნება!

ახლახან თბილისის მერმა **დავით ნარმანიამ** გვახარა: წელს დედაქალაქში ექვსი ახალი ბაგა-ბაღი აშენდება, ხოლო ერთ-ერთი მათგანი – **128-ე** უკვე მწყობრშიაო.

დიახ, მოსკოვის გამზირის გარეუბნების მცხოვრებთათვის ამა წლის **11 იანვარი ისტორიული თარიღია**. გაიხარეს ცეროდენებმა და მათმა მშობლებმა. გაიხსნა ევროპული იერ-სახის ახალი ბაგა-ბაღი. უთუოდ მოიხიბლებით მისი ერთი დანახვითაც კი. ფერთა გამაში იისფერი დომინირებს **„აი იას“** სიმბოლიკით. მეტად ორიგინალურია შენობა. „აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება, ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“.

ვრცელი ეზო – რკინის ღობეშემოვლებული, მწვანე საფარით და ნაძვნარითაა დამშვენებული. ამ ნაძვნარში ოთხი ფლიგელი მთვარესავით ანათებს.

მეგზურობას გვიწევს შესანიშნავი პედაგოგი და პიროვნება, ბაგა-ბაღის შემოქმედი დირექტორი **მანანა ყავლაშვილი**. იგი ოზურგეთის რაიონის ზემო ნატანების საშუალო სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. ასევე დამთავრებული აქვს საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ქართული კულტურის განხრით. ბრწყინვალე სპორტსმენია მხატვრულ ტანვარჯიშში, გახლავთ ალპინისტი, ორი შვილის ლამაზად აღმზრდელი დედა, აქვს თბილისის სკოლებში მასწავლებლად მუშაობის დიდი გამოცდილება.

– პატარების მშობელთა და ჩვენი თანამშრომლების სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებთ თბილისის მერს ბატონ **დავით ნარმანიას**, რაიონის გამგებელს ბატონ **მამუკა ჩოქურს** და განსაკუთრებით ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორს ბატონ **თემურ თორდინავას**, რომელიც მუდამ ჩვენთანაა და მისი ბაგა-ბაღზე ზრუნვა დღესაც გრძელდება, – არ ჰქონდა დირექტორს სიტყვა დამთავრებული, რომ გვაცნობეს, სააგენტოდან სტუმრებიაო. მართლაც სამი თანამშრომელი მობრძანდა და შენობის წინ ფასადის მოხატვის მონახაზი შეადგინეს, რომ ბაგა-ბაღი მალე ესთეტიკურად უფრო გაბრწყინდეს.

– აქეთ წამობრძანდით! – მთხოვს დირექტორი. სპორტულ-სათამაშო ინვენტარით გაჯერებული ეზო დავათვალიერეთ: აი, კარუსელი, სასრიალო ჯიხურს მზესუმზირა ამშვენებს, აი, საქანელა, „აჩუ-აჩუ, ცხენები“... როგორც კი დათბება, აქ ცეროდენების ჟრიამული ზეცას მიწვდება, უბანს გაახალისებს. აი, ცუგრუმელების მშობლებმა მარადმწვანე ნერგები მოიტანეს – „მწვანე ოპერაცია“ მიმდინარეობს.

– მშობლები მხარში აქტიურად გვიდგანან, – აგრძელებს საუბარს დირექტორი, – შექმნილი გვაქვს „ვებ-გვერდი“, მშობლები თავიანთი შვილების ცხოვრებას აკვირდებიან.

ვნახეთ კეთილმოწყობილი მშობელთა კუთხე, სხვა სტენდები. ჯგუფებში სისუფთავე და ხალვათობა სუფევს. ყველგან თოჯინები იცინიან. მოხატულ-მოქარგული დერეფნები დასახლებულია ზღაპრების პერსონაჟებით. აი, ბრწყინვალე მუსიკალური დარბაზი, საიდანაც ტკიბლმშობლიური ჰანგები სიმღერისა: „გაზაფხულო, გაზაფხულო, რა კარგი ხარ, რა კარგი“ ოქროს ხმებად იღვრება. პატარებს სულს უფაქიზებენ და ხელოვნების სიყვარულით ზრდიან მუსიკის პედაგოგები: **თამილა ნონიკაშვილი**, **ქეთევან წენგუაშვილი**, **ეთერ აზარაშვილი**, ცეკვის პედაგოგი **ეკა შუბითიძე**.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში უდიდესი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილეს **მაკა სოფრომაძეს**. მთლიანად სასწავლო-აღმზრდელობით პროცეს კი აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად ეფექტიანად უძღვება მეთოდისტი **მაია ბუნტური**.

– სასკოლო მზაობის პროგრამაში მოცემულია თემატური აქტივობები და აღსაზრდელებთან მას ვახორციელებთ. აი, გუშინ **საექიმო მომსახურების** სცენარი საინტერესოდ გაითამაშეს ცეროდენებმა. დღეს გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით ჩვენი მეცადინეობის თემა იქნება **„მცენარეები და ყვავილები“**.

ბევრი თანამშრომელი გავიცანით. ყველა სიყვარულით

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გულთბილი სიტყვა ამაგდარზე

გვიყვარდეს, დავაფასოთ მასწავლებელი!

გადის წლები და უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ, რომ ჩვენი ცხოვრება ისტორიის კუთვნილება ხდება. გული გვწყდება, მაგრამ ამ წუხილს განვლილი ღვაწლის მოგონებები თუ გვიმსუბუქებს. ამ ღვაწლს კი გვახსენებენ ჩვენი აღზრდილები, უკვე დავაჟკაცებულნი, დადუღებულნი, ბევრი ბებიად და პაპად რომ ქცეულა, ამ შორეული გადასახედიდან, სნორად, რეალურად რომ აფასებენ მასწავლებლის ამაგს, მის საქმიანობას, მასწავლებლისას, რომელიც არ იშურებდა მათთვის ცოდნას, ენერგიას, სიყვარულს და ერთგულ მეგობრობას უწევდა. ამ თბილი სიტყვების ადრესატია **აზა ლეჟავა**, ისტორიის ბრწყინვალე მასწავლებელი, რომელიც 50 წელი ემსახურა საყვარელ საქმეს. მისი შინაარსიანი და საინტერესო გაკვეთილები ბავშვებს ასწავლიდა სამშობლოს სიყვარულს, წინაპართა გმირობის მაგალითებით ზრდიდა მათ. მასწავლებელი ზრუნავდა მათი ზნეობის ჩამოყალიბებაზე, დაჰყავდა ექსკურსიებზე, ატარებდა ულამაზეს ღონისძიებებს, აცნობდა ბავშვებს გამოჩენილ ადამიანებს, მხოლოდ შეხვედრების ჩამონათვალი გააოცებს ყველას. მწერალი **ვახტანტ ჭელიძე**, პოეტი **ანა კალანდაძე**, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, არქეოლოგი **გიორგი ნარიმანიშვილი**, მწერალი **როსტომ ჩხეიძე**, პროფესორი **ვახტანგ გურული...**

როგორ არ ეყვარებათ ასეთი მასწავლებელი მის აღზრდილებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ხვდებიან და გულში იკრავენ! წერილები“ რამდენიც გნებავთ.

„ყველა თქვენ გეტრფით, აზა ლეჟავა,
და განშორება არვის სწყურია,
დღეს თქვენისთანა პედაგოგისთვის
პედაგოგობა სიხარულია.
ვის არ მოხიბლავს თქვენი ქადაგი,
დარიგებები და გაკვეთილი,
გვეამაყება, თქვენ რომ გვასწავლით
მკაცრი ხართ, მაგრამ თანაც კეთილი“.

(XI [1] კლასი, 2000 წ.)

სკოლიდან წამოსულ საყვარელ მასწავლებელს კი ასე დაემშვიდობნენ პატარები: **„აზა მასწავლებელო, მე ძალიან მომენატრები. თქვენ ბევრი კარგი რამ გვასწავლეთ, მიყვარხართ, აზა მასწავლებველო!“ „ვერ ვიჯერებ, რომ აზა მასწავლებელი სკოლიდან მიდის. ძალიან მომწონდა მისი სტილი გაკვეთილების ჩატარებისა და თვითონ – პიროვნება. მას ყოველთვის უნდოდა, კარგები გამოვსულიყავით, ის იყო ძალიან სამართლიანი, კეთილი“.**

აზა ლეჟავასადმი დიდ პატივისცემას გამოხატავს ავტოგრაფები, რომლებიც დაუტოვეს აკადემიკოს **როინ მეტრეველმა**, მწერალმა **ვახტანგ ჭელიძემ**, **ანა კალანდაძემ**, **როინ ჩხეიძემ**, ჟურნალისტმა **ზაურ ფიფიამ**, **თეიმურაზ მეჭურჭლიშვილმა** და ბევრმა სხვამ.

აზას ძალიან დასწყდა გული, სკოლას რომ ჩამოშორდა, გაკვეთილების გარეშე როგორ უნდა ვიცხოვროო, მაგრამ ვინ დატოვებს მარტო?! მისი ტელეფონი გამუდმებით წკრიალებს. სთხოვენ კონსულტაციებს, ამა თუ იმ თემაზე პასუხის გაცემას, წიგნებს.

ქალბატონი **აზა ლეჟავა**, თვითონ კი წამოვიდა სკოლიდან – დავისვენებო, მაგრამ მეგობრები, კოლეგები, ყოფილი მოსწავლეები უმისობას ვერ ეგუებიან და ისიც ისევ იმ საყვარელ საქმეში ტრიალებს, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა.

ასე რომ, ნახევარი საუკუნის ნაამაგარი აზა მასწავლებელი იმსახურებს სიყვარულს და პატივისცემას. ამის მაგალითი მრავალია. აი, თუნდაც **„ქალბატონ აზას ვუსურვებ, კვლავაც ემსახუროს იმ ჯადოსნურ სამყაროს, რომელიც „აი იათი“ იშლება და სადაც ქართული და ისტორია ერთ უღელში შებმული წყვილი ხარია – სამამულო ხნულის გამტანი“**, თამაზ კვაჭანტირაძე. **„შეხვედრა X[1] კლასელებთან მაგალითია იმისა, რომ ქვეყანას ეზრდება გულმხურვალე პატრიოტთა თაობა. შეხვედრა მაგალითია პედაგოგის თავდადებული მოღვაწეობისა, დიდი მადლობა აზა მასწავლებელს და მის შესანიშნავ მოსწავლეებს“. ზაზა აბაშიძე.**

„ჩემთვის ეს შეხვედრა მეტად შთამბეჭდავი იყო. ამ მოსწავლეების გაცნობით დიდი სიხარული შემოვიდა ჩემს გულში. მადლობა ყველაფრისთვის. ამ ბავშვებს რომ ვუსმენ, ვრწმუნდები, გადავრჩებით და გავიმარჯვებთ. უღრმესი მადლობა, აზა მასწავლებელს ამ ბრწყინვალე საღამოს მოწყობისთვის!“ თორნიკე ფანიაშვილი, ფერეიდნელი ქართველი.

მასწავლებლისთვის ხომ ყველაზე დიდი ჯილდო ზემოთ გამოხატული სიყვარულია, მით უფრო მისი მოსწავლეების პირით ნათქვამი.

თბილისის 139-ე საჯარო სკოლის XII[2] კლასის სახელით **მარი ხაჯალია** გაზეთის რედაქტორს თხოვს, აზა მასწავლებლისადმი სარვამარტო მილოცვაში გამოხატული გულის სითბო სადმე ჩასვას: **„გახსოვთ ექსკურსიაზე რომ წაგვიყვანეთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საჯარო ბიბლიოთეკაში? რა დამავიწყებს თქვენს სიხარულს ჩვენი დანახვით. რამდენ ხანს ვყავდით გულში ჩაკრული, – „მოეფერეთ და გაუფრთხილდით აზა მასწავლებელს!“ – ამ სიტყვებით მივმართე ჩემი სკოლის მოსწავლეებს იმ დაუვიწყარ საღამოზე, სადაც აზა მასწავლებელს აკადემიკოსი როინ მეტრეველი და პროფესორი ვახტანგ გურული ჰყავდა მოწვეული. აზა მასწავლებელო, ჩვენთვის ჭეშმარიტად პედაგოგის ეტალონი იყავით და ასე დარჩებით“.**

დამსახურებული მასწავლებლის **აზა ლეჟავას** რეგალიებისა და ნამსახურეობის ჩამოთვლას მოვერიდეთ, წერილი მისი მოღვაწეობის ეპიზოდებსა და ფრაგმენტებზე ავაგეთ. ვფიქრობთ, ასე უფრო წარმოვაჩინეთ მისი სახელი, როგორც ამაგდარი პედაგოგისა.

გაზაფხულს და რვა მარტს ვულოცავთ აზა მასწავლებელს, ზღვა სიხარულს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ ცხოვრებაში.

ვენერა ცალქალამანიძე,
ბორის მიშველაძე,
139-ე საჯარო სკოლის
ყოფილი პედაგოგები

P.S. ნეტავი იმ დროს, როცა მასწავლებელი გაცილებით უფრო დაფასებული იყო. ამაგდართ დაუვიწყარ, კარგად ორგანიზებულ გაცილებას უწყობდნენ, ალერსმოფერებას არ აკლებდნენ. განა მარტო ეს? დანესებული იყო მატერიალურ-მორალური სტიმულირების ფორმები – **„დამსახურებული“** და **„სახალხო მასწავლებლის“** წოდებები.

ახლა კი ეს ყველაფერი მივიწყებულია. სკოლის დირექტორებო, ავაღორძინოთ ძვირფასი ტრადიციები! სხვა რამ თუ არ ძალგიძთ, ღვაწლმოსილი მასწავლებლების გაცილებას მაინც ნუ დაიზარებთ!

1-ლი გვერდიდან

და ენთუზიაზმით იღვწის, აი, კეთილმოწყობილი სამზარეულო. ბავშვებს ძალიან უყვართ პროფესიონალი მზარეულის

დარეჯან გიორგაძის, მისი თანაშემწეების: **შორენა ბაბულეიშვილის**, **ნონა ხიზანაშვილის**, **თეონა სამხარაძის** მიერ მომზადებული კერძები. ამ სიტყვების ავტორის თანამემამულე, სოხუმიდან დევნილი მნე **მთვარისა მიქავა** ყველაფერს აკეთებს პატარების კეთილდღეობისთვის. იგივე უთუოდ უნდა ვთქვათ საქმისმწარმოებელ **მზია მოსულიშვილზე**. მაღალპროფესიონალი ექიმი **ლეილა ხეიძე** თავს ევლება ცეროდენებს.

ბავშვებში უნარ-ჩვევებისა და ნებისყოფის აღზრდისთვის თავდადებით მუშაობს ნიჭიერი ფსიქოლოგი **ნანა მამინაშვილი**.

– ფეხი ავუწყოთ თანამედროვეობას! – ასეთია დირექტორის მოწოდება და იგი ყველა თანამშრომლის განწყობილებას გამოხატავს. გვინდა მარჯვენა დავულოცოთ თავდადებით მოღვაწე აღმზრდელებს და მათ თანაშემწეებს. აქ ყველა არის ახალი ბაგა-ბაღის დამფუძნებელი, პირველი ხნულის გამვლები, ახალ წარმატებათა მესაძირკვლე. მათი სახით დირექტორს ძლიერი, საიმედო კადრები ჰყავს. იმდენად ბევრნი არიან, ვეღარ ჩამოვთვლით.

წინ მომხიბლავი ასპარეზია. **როცა საქმის სიყვარულია, ყველაფერი მშვენიერია. როცა ხალისობს მისი შვილია, მაშინ მშობელი კმაყოფილია.** ყველა ეს სიკეთე აქ იმდენია, რამდენიც გინდა. ჰოდა, ახალი ბაგა-ბაღის მესვეურთ, ყველა აღმზრდელს, ყველა მუშაკს მივმართავთ **მუხრან მაჭავარიანის** სტრიქონებით: **„კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი კიდევ ერთხელ აამღერო, გევალება, ჩემო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველოვ!“**

ახალსახლობას და გაზაფხულის მობრძანებას გილოცავთ, 128-ე ბაგა-ბაღელებო!

ბორის კინდღელი

„ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!“

დილა მშვიდობისა, 109-ე ბაგა-ბაღელებო!

გაზაფხულია, აქ ხალისი და სიყვარული დამკვიდრებულა!

დირექტორი
თამარ სირბილაძე

ხუთი წლის წინათ ვიყავით ცეროდენების ამ ზღაპრულ სამყაროში. ხუთჯერ უფრო დამშვენებულა იგი მას შემდეგ. უფრო მეტიც, გაზაფხულს პატარძალისთვის დაუმსგავსებია სიმწვანეში ჩაფლული შენობა. **„რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა“**. ზამთარში მოწყენილი კარუსელები, სასრიალოები, „აჩუ-აჩუ, ცხენები“ კვლავ გახალისდნენ და ცუგრუმელების ჟრიამული ცასა წვდება. **„გაზაფხულო, გაზაფხულო, რა კარგი ხარ, რა – კარგი!“** მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით ხშირად ისმის ტკბილმშობლიური მელოდიები.

ეზოში რომ შევედით, მეეზოვე დაფუსფუსებდა, ეფერებოდა ბალახს, ბუჩქს, ყვავილნარს. მისი ღვაწლია, რომ ასე მოვლილია კოხტა ეზო, დიდსა და პატარას ესთეტიკურ სიამოვნებას რომ ანიჭებს. ამაგდარი მებაღე კი გახლავთ **ნინო ნიქაბაძე**. ალბათ, არავის ეწყინება, რომ იგი ყველაზე პირველი, თავად დირექტორზე ადრე დავასახელეთ, დიდი ხანია ნინო სიყვარულით ეფერება და თვალისჩინივით უფრთხილდება ბაგა-ბაღს.

მადლობის გრძნობით გვინდა წარმოგიდგინოთ სხვა თანამშრომლებიც, რომელთაც აქ ცეროდენების კეთილდღეობისთვის ბევრი უმოღვაწიათ.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს გამოცდილი ფსიქოლოგის **ნარგიზ კვარაცხელიას**, პოპულარული მზარეულის **ლია მინდიაშვილის**, მისი თანაშემწეების – **მარინე ჩალაძის**, **მარინე ჩაჩანიძის**, **მთვარისა ზაალიშვილის** და **მარინე ტაბარუკიშვილის** პროფესიონალიზმს. მათი მზრუნველობა აღსაზრდელებზე სამაგალითოა.

ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სხვა თანამშრომლები, კერძოდ, აღმზრდელები, მათი თანაშემწეები ნაკლები ენთუზიაზმით ზრუნავდნენ ცუგრუმელებზე, პირიქით, სწავლებისა და აღზრდის ყველაზე მძიმე ტვირთი მათ მხრებზე გადადის. ამ ამაგდარზე უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა კი, შიგნით ვეწვიოთ პატარების საცხოვრებელს. აქ ბწყინვალე პირობებია შექმნილი მათი დაფრთიანებისთვის. მშობლიური გარემო, დედობრივი ალერსი და კომფორტი – ყველაფერი აქ არის. აი, სტენდები, მშობელთა კუთხე, თვალსაჩინოებები, აქ ყველგან თოჯინები იცინიან, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ერთია: გახარებულნი არიან პატარები, კმაყოფილნი არიან მათი მშობლები.

ახლა უკვე მივადექით იმ პიროვნებას, ვისი ნახელავიც არის ეს წარმატებები. რა თქმა უნდა, გამოცდილ, თავიანთ საქმეზე მეტად შეყვარებულ თანაგუნდელებთან ერთად, იგი გახლავთ ნიჭიერი, გამობრძმედილი, შემოქმედი დირექტორი **თამარ სირბილაძე**. თამარს გაისად ამ ბაღში დირექტორობის ათი წლის იუბილე ელოდება. ყველა დარწმუნებულია, იგი ღირსეულად შეხვდება ამ თარიღს. თამარს ძალიან უყვარს ბავშვები და ამ სიყვარულს სამაგიერო სიყვარულით იმკის. თამარი პატივს სცემს, აფასებს თანამშრომელთა ღვაწლს და მათგანაც იმკის პატივისცემას, დაფასებას – დაფასების წილ.

თამარ სირბილაძე პოპულარული დირექტორია მთელ უბანში. მუდამ იცავს უბნის მცხოვრებთა ინტერესს, ითვალისწინებს მშობელთა მოთხოვნილებებს და ზრუნავს მის შესასრულებლად, ამიტომაც არის ავტორიტეტიანი დირექტორი.

...დიდხანს ბაგა-ბაღის ერთი ფლიგელი ანუ კორპუსი გაუქმებული იყო. იგი დევნილებს ეჭირათ. როგორც კი განთავისუფლდა ეს ფართი, მყის შეაწუხა დირექტორმა მერია, გამგეობა, გაარემონტა, სრულ მზაობაში მოიყვანა შენობა და იქ 8 ახალი ჯგუფი გახსნა. ეს ხომ ადვილი საქმე არ იყო? ბევრი ვერ ახერხებს ასეთი რთული პრობლემის მოგვარებას.

– მთელი კოლექტივის სახელით დიდ მადლობას ვუცხადებ ქალაქის მერიას, კერძოდ, მერიის ბაგა-ბაღების სამსახურის სააგენტოს დირექტორს ბატონ **თემურ თორდინავას** დიდი დახმარებისა და თანადგომისათვის! – განაცხადა ჩვენთან საუბარში **თამარ სირბილაძემ**.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ბაგა-ბაღების ცხოვრებაში ორი სიახლე შემოვიდა: სასკოლოდ ბავშვების უფრო ინტენსიური მომზადება და კვების ხარისხის გაუმჯობესება; ორივე ეს ამოცანა ბრწყინვალედ განხორციელდა.

ბაგა-ბაღის სული და გულია გამობრძმედილი, შრომისმოყვარე მეთოდისტი **თამარ ჩოხელი**. მისმა ეფექტიანმა მუშაობამ სასიხარულო ნაყოფი გამოიღო. **თამარ ჩოხელი** ადრე თავად 128-ე ბაგა-ბაღის დირექტორი და უკვე კარგა ხანია თავის მდიდარ გამოცდილებას აქ უშურველად უზიარებს აღმზრდელებს. სკოლისთვის ბავშვების მომზადება ადრეც იყო ბაგა-ბაღების ამოცანა, მაგრამ წელს მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ქალბატონმა თამარმა გაგვაცნო **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**, სადაც გაწერილია ის თემატიკა, რომელზე მუშაობაც განაპირობებს სასკოლო მზაობის ხარისხს. მეთოდისტმა ამ პროგრამით მუშაობის მეთოდიკა კარგად დაამუშავა აღმზრდელებთან, რასაც უნარიანად ახორციელებენ პედაგოგები სასწავლო პროცესში.

აი, „აქტივობათა კრებული“ და მისი თემატიკა: „ჩემი უბანი“, „ყველაფერი ჩემს შესახებ“, „მცენარეები და ყვავილები“, „ჯანმრთელობის ანა-ბანა“ და სხვები.

ვინ არიან ამ პროგრამების ხორცშემსხმელნი: ვინდა, პატარებთან ურთიერთობის ოსტატები, შრომისმოყვარე აღმზრდელები: **თეა ალხაზიშვილი, თამუნა ბერძენიშვილი, ნინო შონია, ნინო გიუნაშვილი, თამარ ჩუბინიძე, ანა ცაავა, შორენა მაისურაძე, აქსანა კირვალიძე, ინგა ოტიაშვილი, ფიქრია მაზანაშვილი, ეთერ ზურაბაშვილი, ლეილა საკარულიძე, მაია კობაიძე, ნინო მარღანია, ნანა აბაშიძე, ლამარა ჟორჟოლიანი, ნაზი გოზალიშვილი, ლიკა ერაძე, ნინო საგინაშვილი, თინიკო დუმბაძე, ლალი ვლადიმერიძე, დალი**

ნინუა, ელისო ხაბულიანი, თამარ მაჭავარიანი, ცისმარ კევლიშვილი, მარი დოლიძე, ეკა ხუნაშვილი, სვეტა არუთუნიანი, ლიკა ნიკოლაიშვილი, ზეინაბ ხარაზიშვილი, ნუნუ მიქაძე, ლია ნიკოლაიშვილი, ნატო აბაშიძე, თამარ ჯიხვაძე, ეკა გიორგაძე, ია თეთვაძე, მაია ქობელაშვილი, ხათუნა მაჩურიშვილი, ნინო ტყემალაძე, ეკა კუნელაური, თანაშემწეები: **მარი მიშელაძე, ინესა მამუჩიშვილი, შორენა იაკობიძე, ქეთი ქვარაია, ლია ჯაგაშვილი, ნანა ჩუმაშვილი, ლეილა ლობჟანიძე, ეკა ჩადუნელი, თიკო მაისურაძე, ელზა ბენდუქიძე, თეა შონია, ჟანა ნაროუშვილი, ნინო ჭიკაძე, ნატალი დულუზაური, მადო ნათათრალაშვილი, ნუნუ ცინაძე, ხატია თათეიშვილი, ვერიკო ხურცილავა, ნანა კობაჩიშვილი, თათია მეცხვარიშვილი, ნანა ხადური, ანა ჯანგირაშვილი, ნათია კვეტენაძე, მანანა ლორთქიფანიძე, მაია ხარაზიშვილი, შორენა შამუგია, რუსო ჭიაურელი, ნინო მეტრეველი**. დაგელოცოთ მარჯვენა! თქვენი ღვაწლია, ამდენი ნიჭიერი, გულში ჩასახუტებელი, თვალხატულა გოგო-ბიჭები რომ გვეზრდება, დიდი მომავლის მომღერალი, მოცეკვავე, მხატვარი, მსახიობი, ხელოვანი აფრინდება ამ ბუდიდან. გვინდოდა მათი დასახელება, მაგრამ აქ ხომ ყველა ნიჭიერია. მჯობნის მჯობნი არ დაილევა.

ვინ ზრდის ამათ ხელოვნების სიყვარულით? ვინ უფაქიზებს მათ სულს და ესთეტიკურ გემოვნებას? ვინ და, ჩინებული პედაგოგები მუსიკისა: **ირმა ოტიაშვილი, ნელი ოგანოვა** და **ია დოლიძე**. მადლობა თქვენ!

მადლობა ცუგრუმელების ჯანმრთელობისა და ჰიგიენისთვის მზრუნველ ექიმს **მადონა მიქელაძეს**! ასევე – გამოცდილ ექთანს – **ზინაიდა ჯოხაძეს**.

მთელი ბაგა-ბაღის კეთილდღეობა და წარმატება დიდად არის დამოკიდებული მნე **ლელა ლუაშვილისა** და საქმის მწარმოებელ **მარიკა ჩხაიძის** კარგ მუშაობაზე. ბაგა-ბაღის ეს სული და გული მუშაკები მოწოდების სიმაღლეზე არიან და „ფრიადზე“ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ფსიქოლოგის **ნარგიზ კვარაცხელიას** მონდომებულ, ნაყოფიერ საქმიანობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. მართლაც, იგი ბევრს ზრუნავს ნორჩების უნარ-ჩვევებისა და ნებისყოფის აღზრდაზე. ზემოთ ასევე გამოცდილი და გემოვნებიანი მზარეული და მისი დამხმარეები ვახსენეთ. მათი დამზადებული ყუათიანი, არომატული კერძები ძალიან უყვართ პაწიებს, შინ დედის გაკეთებულს ურჩევნიათ.

ასეთ მშობლიურ გარემოში დედობრივი მზრუნველობის ქვეშ ფრთიანდება ჩვენი მომავალი თაობა, ხვალინდელი პატრონი საქართველოსი.

როგორ შეიძლება ქებისა და მადლობის სიტყვების გარეშე მოვიხსენიოთ ის თანამშრომლები, რომელთაც თავდადებული შრომით დიდი წვლილი შეაქვთ ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში? მათი დამსახურებაა, რომ ნორჩებზე ზრუნვა, ალერსი, კომფორტი, ყველაფერი რომ აქ არის! ესენი არიან: დამლაგებლები – **რუსუდან ავალიანი, ლია ავეტისოვა, ციცო მიდოდაშვილი, თამარ ხვედელიძე, მარინე კვესიაშვილი, ნათია მარღიშვილი, მარეხ ჯამასპიშვილი, ირინე მაჭარაშვილი**, მრეცხავები – **ელისო ახვლედიანი, მაია აფშინაშვილი, თამარ ზოზიაშვილი, ნინო ივანიშვილი, ტასო ავაქოვი, ხათუნა მჭედლიშვილი, თეა ლატარია, ცისანა ზედგენიძე**, მუშა – **ალექსი ოგანესიანი**, დარაჯები – **თენგიზ ზანგური** და **ალექსი გოგიაშვილი**.

ყველა შესანიშნავად გრძნობს, რაოდენ საამაყოა **„თამარ სირბილაძის“** ბაგა-ბაღში მოღვაწეობა. დიახ, იმდენად პოპულარულია დირექტორი უბანში, მისი სახელით მოიხსენიებენ ამ ეგზოტიკურ სამყაროს. ხშირად ამბობენ მშობლები: **„ბავშვი „სირბილაძის“** ბაღში უნდა ვატაროო.

გაზაფხულის მოსვლა გოგლას შეცვლილი სტრიქონებით უნდა მოგილოცოთ, მეგობრებო: **„შენ აყვავდი, ბაღო მეტად, მზე შენა და ვარდის ფენა, გაგიზრდია ბევრი მოყმე, ვინც მამული დაამშვენა“.**

გაზაფხულმა, სიხარულმა თქვენ გულებში დაიბუდოს, 109-ე ბაგა-ბაღელებო!

ბორის ხარებავა

ДИЛАМШВИДОБИСА, 169-Э БАГА-БАЛЕЛЕБО!

АХ МУДАМ МЗЕ ДА ГАЗАФХУЛИ ЧАХЧАХЕБС

ВАРКЕТИЛИС პირველი მიკრორაიონის მშვენებაა 169-ე ბაგა-ბაღი. ცეროდენების ეს ზღაპრული სამყარო დღითიდღე ძლიერდება და ლამაზდება. აქეთკენ მოუხარიათ ცუგრუმელებს, რადგანაც მშობლიური ზრუნვა და ალერსი ელოდებათ. ასევე კმაყოფილი არიან მათი მშობლებიც.

ბაგა-ბაღს ახალი დირექტორი ჰყავს, გამოცდილი პედაგოგი **ნინო ბუჩაშვილი**, კულტუროლოგი, მუსიკის ჩინებული სპეციალისტი. ბავშვებთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება აქვს. მუშაობდა კერძო ბაღებში, ასევე, 160-ე და 166-ე ბაგა-ბაღებში აღმზრდელად.

შემოქმედებითად იღვწის ასევე, დირექტორის გამოცდილი მოადგილე **მერი ტყეშელაშვილი**.

შრომატევად საქმიანობას ეწევა ბაგა-ბაღში მეთოდისტი **თინათინ აბრამიშვილი**. იგი ბევრს მუშაობს აღმზრდელებთან **„სასკოლო მზაობის პროგრამის“**

მოთხოვნათა რეალიზებისათვის. აწარმოებენ მუდმივ დაკვირვებას ბავშვების საქმიანობასა და განვითარებაზე. ტარდება ღონისძიებები. ბევრი ჰყავთ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული აქტიური ბავშვები, რომლებიც თავს იჩენენ ღონისძიებებზე. სასკოლო მზაობის ჯგუფებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სწავლების მეთოდიკის საშუალებით, რაც ხელს უწყობს აღმზრდელების მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას მოტორული, სოციალური, ემოციური, მეტყველების და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ახალ დირექტორს კარგად შეეწყვნენ თანამშრომლები და თავდადებით მოღვაწეობენ: სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნანა ნაკაიძე**, ფსიქოლოგი **ნათია საცერაძე**, საქმისმწარმოებელი **ნინო სახელაშვილი**, ჯანმრთელობის და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი **ნატო კიკუაშვილი**. ბავშვთა კვების ორგანიზაცია მაღალ დონეზე დგას. ცეროდენებს მოსწონთ და სიამოვნებით მიირთმევენ მზარეულ **ასმათ მაღლაკელიძის**, მისი დამხმარეების **ზაირა ლომიძის**, **ლეილა ადამაშვილის** და **ზოია გრძელიძის** მიერ მომზადებულ კერძებს.

ყველაზე მთავარი მაინც აღმზრდელების, მათი თანაშემწეების კარგი მუშაობაა. ამ კუთხით ქებას და მადლობას იმსახურებენ აღმზრდელები: **მარი თურმანიძე, ნინო ჯანიაშვილი, ნელი ვალაშვილი, გულნაზ ბერძენიშვილი, ნადეჟდა კვირიკაშვილი, ხათუნა ზოზიაშვილი, ნათია ფოლადაშვილი, ნინო ბედინაშვილი, ნიაზ გოგოლაშვილი, ნინო მერაბიშვილი, ნინო ბარდაველიძე, ნინო ძებნიაური, მარინე ფანჩულიძე, ნატა ბერიკაშვილი, მაია გელაშვილი, თამარ მაღლაკელიძე, ლია დალაქიშვილი, ნანა წერეთელი, ლელა კუპრეიშვილი, სალომე მოდებაძე, ნატო ჩიღუნიძე, სოფია სარქისიანი, მარიამ ყუშიტაშვილი, ნანა ავალიანი.** მათი თანაშემწეები: **შორენა ყოჩიაშვილი, თეა მედაშვილი, ლუდმილა ნუცუბიძე, ციცინო წულუკიძე, ნინა სამხარაძე, რუსუდან ყვავილაშვილი, ნინო ბიწაძე, გვანცა ბერძენიშვილი, ფატი კურატიშვილი, ციალა აბუანდაძე, ნათია ნათაძე, ანა ჯოგლიძე, ლალი მეგრელიშვილი.**

ისევ კვებას დავუბრუნდეთ: უზრუნველყოფილია ჯანსაღი და მრავალფეროვანი კვება. მენიუ მრავალფეროვანია. შემოსული პროდუქტი უვნებელია. სამზარეულო დღის განმავლობაში ინტენსიურად სუფთავდება. რეგულარულად სუფთავდება სათამაშოები, ბაგა-ბაღის მთლიანი ტერიტორია და ეზო. შემოსვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე, დაცულია ჰიგიენის ნორმები. ამას დიდ ყურადღებას აქცევს ექთანი **ნატო კიკუაშვილი**.

ბაგა-ბაღის შიდა ტერიტორიას მასწავლებლები რთავენ წელიწადის დროების მიხედვით. აღმზრდელები ცდილობენ საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინონ. აღსაზრდელს უნდა დახვდეს გარემო, რომელიც მას ძალიან მოსწონს. დიახ, ასეც არის. ცეროდენები გამოირჩევიან ნიჭიერებით, ზრდილობით.

სკოლის მასწავლებლებისგან ბაღი უამრავ მადლობას იღებს. შეაქეს კარგად აღზრდილები: **გიორგი ბირკაძე, ლიკა მაისურაძე, ლუკა ჩილაური, მარიამ ბოყოველი, ელენე ყიფშიძე, გიორგი მაღლაკელიძე**. ბაგა-ბაღი ამაყობს ასეთი გამოშვებით. გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

სამომავლოდ იგეგმება ინვენტარის განახლება. მუსიკის დარბაზის გარემონტება, ჯგუფების ახალი ჭურჭლით დაკომპლექტება. ეზოს მოწყობა და გალამაზება ნარგავებით, ყვავილებით.

დირექტორი **ნინო ბუჩაშვილი**: ძალიან მიყვარს ბავშვები, ვცოცხლობ და ვარსებობ იმისთვის, რომ ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე.

დიდი მადლობა ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორს ბატონ **თემურ თორდინავას**, რომელიც ყოველმხრივ ხელს გვიმართავს. ასევე საინტერესოა ცეროდენების მშობელთა კოლექტიური სამადლობელი ორი წერილი ბატონ თემურ თორდინავასადმი, სადაც, უბნის 30-ზე მეტი მცხოვრები: **ხ. ბურდული, დ. პატიაშვილი, მ. შათირიშვილი, ი. გიორგაშვილი, ი. ოგანეზოვი, თ. ლოხიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. თოდუა, თ. ყიფშიძე, ა. გიგაური, ნ. გოცირიძე** და სხვები გამოხატავენ ნდობას და სიყვარულს ახალი დირექტორის მიმართ. ახალმა დირექტორმა ამ მოკლე დროში ბევრი სიკეთე მოუტანაო ბაგა-ბაღს.

გაზაფხულს გილოცავთ და ბევრ სიხარულს გისურვებთ 169-ე ბაგა-ბაღელებო!

რომან მოსეშვილი

კერძო სკოლა – ევროპულ რელსებზე

„გერგეტი" დალოცვილი ცოძარია ცოდნისა

დირექტორი
ლინა ხარაზიშვილი

კერძო სკოლა **„გერგეტი"** მალე ათი წლისა გახდება. თავიდანვე ჩინებული სტარტი აიღო, პოპულარული გახდა და წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა. აქ ძალაშია ბრძენკაცის შეგონება: „კადრები წყვეტენ ყველაფერს, აქ ძლიერი კადრებია თავმოყრილი. დამფუძნებლის **ლიკა ქოიავასა**



და დირექტორის, ბიოლოგიის დოქტორის **ლინა ხარაზიშვილის** ხელმძღვანელობით. **„გერგეტის"** ცხოვრებისა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მიღწეული შედეგების შესახებ მათთან საუბრიდან შეიტყობთ.

***

სკოლა „გერგეტი" ერთი დიდი ოჯახია, რომლის თითოეული წევრი თავდაუზოგავად შრომობს ახალგაზრდების სწორი აღზრდისა და ჰარმონიული განვითარებისათვის, ცოდნის ხარისხის ამაღლებისათვის. მაღალია მოსწავლეების საატესტაციო გამოცდებზე მიღებული ქულები, კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი, მოპოვებული სახელმწიფო გრანტები, ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა, მოსწავლეთა ჩართულობა, ეროვნულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში მიღწეული შედეგები.

პედაგოგიური კოლექტივი დაკომპლექტებულია გამოცდილი, მაღალპროფესიონალი კადრით, რომელთა 70% სერთიფიცირებულია. მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგების მხარდამხარ ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა კადრები.

მიმდინარე სასწავლო წელს ბევრი ახალგაზრდა დასაქმდა **„გერგეტში"**. მათ ახალი ენერგია და ენთუზიაზმი შემოიტანეს. ისინი სასწავლო პროცესის პარალელურად ამუშავებენ პროექტებს, რომელშიც ჩაბმულია სკოლის

როგორც თითოეული მოსწავლე, ისე მშობელი და პედაგოგი. დირექცია მაქსიმალურად უდგას მათ მხარში და ყველანაირად უწყობს ხელს.

დაწყებითი კლასის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები პროექტში **„რა, სად, როდის"**. მათი ზოგადი ერუდიციის ამაღლებისთვის მუდმივად ზრუნავს ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი **ეკა კობაიძე**. მან თავდაუზოგავი შრომით დაიმკვიდრა ადგილი პედკოლექტივში და დიდი სიყვარულით სარგებლობს ცეროდენებში.

პედაგოგი **სოფიკო ეგუტიძე**, **„გერგეტის"** აღზრდილია. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მშობლიურ სკოლას მიაშურა. სოფო ქორეოგრაფია. აქტიურად ჩაება სასწავლო პროცესში და ახალ-ახალ პროექტებს სთავაზობს დირექციას. ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა „CAN DANCE"-ს ფინალი მაისის ბოლოს გაიმართება.

იმდენად წარმატებული აღმოჩნდა საკუთარ აღზრდილებთან ურთიერთობა, რომ დირექციამ გადაწყვიტა, შეძ;ლებისდაგვარად პედაგოგებად მიიღოს ზოგიერთი კურსდამთავრებული.

უცხოური ენების პედაგოგებიც ახალგაზრდები არიან. **ქეთევან მუმლაძე** დაწყებითებში ასწავლის ინგლისურ ენას, ხოლო **ელენე შენგო** საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მუშაობს. ერთი სიტყვით ამ ნიჭიერი დებიუტანტების ხელში უცხოური ენების სწავლება მეტად ეფექტიანია.

დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს დაწყებითი კლასის პედაგოგის **სალომე ღონღაძის** გატაცებულ, შემოქმედებით საქმიანობას. სპორტის ახალგაზრდა პედაგოგი — **გიორგი ბითაძე** ბრწყინვალე მასწავლებელია. ატარებს შიდასასკოლო ტურნირებს ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში. წელს სკოლის სპორტულმა გუნდმა რაიონში I ადგილი მოიპოვა. რაოდენ სასიხარულოა, რომ ღირსეული თაობა მოდის და დირექცია ხელს უწყობს მათ დაოსტატებას. ეს დიდი სიახლეა **„გერგეტის"** ცხოვრებაში.

ეკა კობაიძემ ბიბლიოთეკის შექმნა-მოწესრიგება-განახლების ფუნქცია იტვირთა. მისი თხოვნით დირექციამ შეიძინა ბიბლიოთეკის მართვის ელექტრონული პროგრამა. ეკამ აქტიურად დაიწყო მოსწავლეებთან მუშაობა. შემოიღო **„კითხვის საათი"**, მოსწავლეები კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას, მსჯელობენ წაკითხულის გარშემო, ეუფლებიან წიგნის კითხვის კულტურას.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგად მუშაობს „ილიას უნივერსიტეტის" IV კურსის სტუდენტი **სალომე აბუთიძე**, რომელიც ნაყოფიერად უთავსებს ერთმანეთს პედაგოგობას და სწავლას. 4 წელია, იგი არის ილიას უნივერსიტეტის სტიპენდიანტი. მისი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საგანმანათლებლო პროექტებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია **გოჩა მრელაშვილის** წარმატება – „კინგსი" (ქართული ენა) I ადგილი, რაც პედაგოგის ღვაწლის შედეგია. წელს

დაწყებითი კლასის პედაგოგად მიიღეს დედაუნივერსიტეტის კურსდამთავრებული **სოფიკო ფარტენაძე**, რომელიც ძალიან

მცოდნე, მაღალკვალიფიციური პედაგოგის **ხათუნა ბარდაველიძის** გამოცდილებით ოსტატდება.

აი, როგორ ზრუნავენ სკოლა **„გერგეტის"** ხელმძღვანელობა და გამოცდილი პედაგოგები ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების აღზრდა-დაწინაურებისათვის.

კიდევ ბევრი რამ საქებარი შეიძლება ითქვას სკოლა **„გერგეტის"** საინტერესო, მჩქეფარე ცხოვრების შესახებ. ვუსურვებთ, ღირსეულად, დიდი მიღწევებით შეხვდნენ საიუბილეო თარიღის – დაფუძნების ათ წლისთავს.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ქვემო ქართლი, წალკა

თქვენ ხართ ამ სოფლის ბედნიერება...

ამ ბევრისმთქმელ ფრაზას გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ეტყვის მეცხრე, მეათე კლასელებს სკოლის დირექტორი ბატონი **რამაზ ძირკვაძე** და დაამატებს:

- თქვენ ფიქრობთ, აზროვნებთ, თქვენ ვერავინ დაგაჩოქებთ, თქვენ თავად მონაწილეობთ ჩვენი სოფლის მომავლის შენებაში...

მისამართი: წალკის რაიონი, სოფელი გუმბათი.

ობიექტი: გუმბათის 105 მოსწავლიანი საჯარო სკოლა.

პედაგოგთა რაოდენობა: 22 მასწავლებელი.

სოფლის მოსახლეობა: 120 კომლი.

მცირე ისტორია: წალკის რაიონის ბერძნებით დასახლებულ ამ ტერიტორიაზე გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან ჩამოსახლდნენ მთიანი აჭარიდან ოჯახები მშობლიურ კუთხეში ბუნებრივი გართულებების გამო და აქაურობასთან შეგუებულებმა შრომისმოყვარეობით და რწმენით შეძლეს ის, რომ დღეს სოფელი გუმბათი მაღალმთიანი დასახლების ეკონომიურად დაწინაურებულ ერთ-ერთ საუკეთესო სოფლად ითვლება ქვემო ქართლის რეგიონში.

...ჩვენ გუმბათის სკოლას ვსტუმრობთ ყოფილი კულტურის სახლის არცთუ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ შენობაში, სადაც წვიმის დროს საკლასო ოთახებშიც წვიმს, თოვლობისას – ცივა და ქარის დროს ჭრიალი გაუდის საკლასო ოთახების მოღიაებულ კარებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ყველაფერი ვერანაირად ვერ აქრობს სიმარჯვესა და მონდომებას, ამ სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს რომ გააჩნიათ. აქ, ქვეყნის პერიფერიულ, დედაქალაქიდან ძლიერ დაშორებულ პატარა სოფლის სკოლაში სახეზეა: მოსწავლე – პედაგოგთა უშუალობა და გულწრფელობა, აღტაცება და სიხარული სტუმრების დანახვაზე, ზრდილობიანი მასპინძლობა, მონდომება და სურვილი, ხვალინდელ დღეზე ფიქრი და ოცნება, რომ მომავალში ყველაფერი კარგად იქნება, რომ გამრავლდებიან, კიდევ უფრო გაიზრდება სოფელი, ააშენებენ ახალ სკოლას, რომ თავად გახდებიან საზოგადოების ღირსეული წევრები და ამჟამად არსებულ პრობლემებსაც საერთო მონდომებით დადებითად გადაწყვეტენ.

* * *

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი უკვე მეორე წელია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და PH International-ის ფინანსური მხარდაჭერით და ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანადგომით უამრავ პროგრამულ სიახლეს ახორციელებს სკოლებში და შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებით საჯაროს ხდის ამ პროგრამის პოზიტიურობას.

მარტო მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში „მომავლის თაობის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პედაგოგთა ტრენინგები, გამოიცა დამხმარე

სახელმძღვანლოები და რესურსები, პედაგოგთა უმრავლესობამ გასულ აკადემიურ წელს მიიღო მონაწილეობა ტრენინგში – „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“, პედაგოგების ხელშეწყობით მოსწავლეები საქართველოს ყველა რეგიონში აქტიურად მონაწილეობენ სკოლისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაში და სხვა.

გასულ სემესტრში სამოქალაქო განათლების პედაგოგებს პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებობებიც ჰქონდათ. ამ ღონისძიებების ერთი ნაწილი პროგრამის ფარგლებში სამოქლაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მეშვეობით ხორციელდება, დანერგილია სამოდელო გაკვეთილების პრაქტიკა და პროფესიული გაზიარების ჯგუფების მუშაობა, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, კოლეგებისაგან იღებენ რჩევებს და ინოვაციებს ნერგავენ სასწავლო პროცესებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც პროგრამის კოორდინატორის, სამოქალაქო განათლების მაღალპროფესიონალი პედაგოგის ლია ღუღუნიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით მართლაც ძალიან საინტერესოდ წარიმართება სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ღონისძიებებზე დასწრება, მათი უშუალო მონაწილეობა ნებისმიერ ღონისძიებაში, რაც გარკვეულწილად საფუძველია იმისა, რომ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი არა მხოლოდ ამ რეგიონში, არამედ მთელ საქართველოში ჩატარებული მუშაობით ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ და მდგრად პროფესიულ ორგანიზაციად, რომელიც პედაგოგთა ინტერესების გათვალისწინებით უფრო ეფექტიანად იმუშავებს მომავალში.

***

სწორედ ამ ფორუმის ფარგლებში ჩატარდა 16 მარტს სამოქალაქო განათლების სამოდელო გაკვეთილი წალკიდან კიდევ უფრო დაშორებულ სოფელ გუმბათის საჯარო სკოლის მეცხრე, მეათე კლასებში საგაკვეთილო თემით: **„საზოგადოებრივი საქმიანობა, საზოგადოებრივი სარგებელი, პრობლემები და მათი გადაჭრის ალგორითმები“** - საკმაოდ გამოცდილი პედაგოგების **მანანა ბოლქვაძის** და **ციცინო გობაძის** მიერ.

გაკვეთილის დაწყებამდე კოორდინატორმა **ლია ღუღუნიშვილმა** აღნიშნა: ასეთი გაკვეთილები მიზნად ისახავს კოლეგების და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერას, იმის გაგებას, თუ როგორ ითავისებენ ბავშვები საზოგადოებაში საკუთარი როლის მნიშვნელობას და როგორ იაზრებენ თუნდაც მცირეოდენი წვლილის შეტანით სოფლის აღმშენებლობას.

გაკვეთილი ინტეგრირებული იყო და საგაკვეთილო მასალა შუქდებოდა არა მხოლოდ სამოქალაქო განათლებაში შესწავლილი თემებიდან, არამედ ლიტერატურული კუთხითაც, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას, როგორც პოეტისა და საკუთარი ხალხის პრობლემებზე დაფიქრებული პიროვნების ცხოვრების მაგალითების გააზრებით.

გაკვეთლზე ორივე საგნის მასწავლებელმა გამოიყენა ტესტები წყვილებში მუშაობისათვის, ჯგუფური მუშაობის მეთოდები, პრეზენტაციები, სიტუაციური ტესტირებები, კითხვა-პასუხის მეთოდი, დისკუსია, რეფლექსია, მონოლოგი, დიალოგი უამრავ თვალსაჩინოებასთან ერთად, რამაც შესაძლებლობა მისცა კლასის ყველა მოსწავლეს, სრულიად თავისუფლად ჩართულიყვნენ პრობლემის ძიების პროცესში და ინდივიდუალურ ხედვასთან ერთად გაეკეთებინათ ინდივიდუალური დასკვნები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა:

რა აწუხებდა ვაჟას ეპოქის საზოგადოებას.

რა აწუხებს დღევანდელ ქართულ საზოგადოებას.

რა პრობლემებს ხედავდა ვაჟა, როგორც პიროვნება.

რა პრობლემებს ვხედავთ დღეს ჩვენ.

ფრაგმენტები ვაჟას ნაწარმოებ **„გოგოთურ და აფშინაზე“** შექმნილი სპექტაკლიდან, ბრძნული აზრები ვაჟას ლექსებიდან, ვაჟას ცხოვრების ეპიზოდები და უამრავი სხვა რამ გაშუქდა მოსწავლეთა მიერ საინტერესოდ, ღრმად, ამომწურავად და ემოციურად. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს მიეცათ შესასრულებელი დავალება: დაესახელებინათ ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემები, მოეძიათ პრობლემების გადაჭრის გზები და ნაწარმოების მთავარი სათქმელი – ამ შესასრულებელ დავალებას კლასის ყველა ბავშვმა წარმატებით გაართვა თავი ბუნებრივი, ლოგიკური მოსაზრებებით, საკუთარი თვალით დანახული და აღქმული რეალობის გააანალიზებით.

მოსწავლეები: **ქეთი საგინაძე**, **ლია შავაძე, ალეკო კახაძე**, **თენგო ანთაძე**, **მანუჩარ ძირკვაძე, გიორგი კახაძე**, **ნიკა ძირკვაძე**, **ინდირა ვაშაყმაძე**, **ემზარ კახაძე**, **მაია საგინაძე**, **ქეთი ბოლქვაძე**, **მეგი გორგაძე**, **მარეხ კახაძე**, **სალომე საგინაძე**, **ნინო გორგაძე**, **ფატიმა კოჩალიძე** დამოუკიდებელი აზროვნებით ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ პედაგოგებს. ყველა მათგანის დასახელება საგაზეთე პუბლიკაციაში ავტორის თვითმიზანი არ არის, არც მხოლოდ სამოდელო გაკვეთილის სრულყოფილად აღწერის

სურვილით ნაკარნახევი მოტივაცია. საქმე ის გახლავთ, რომ ყველა მათგანმა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის **მანანა ბოლქვაძის** ინიციატივით წელს სექტემბრიდან დაგეგმა და პრაქტიკულად განახორციელა სათემო პროექტი: წლობით მოუგვარებელი პრობლემის მოგვარება სოფლისათვის ნაგავსაყრელის გამოყოფის, წყლის ნორმალურად მიწოდების და გარემოს დაცვის კუთხით, რაშიც მეცხრე, მეათე კლასელებმა აქტიურად ჩართეს რაიონისა და სოფლის გამგებელი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, სკოლის დირექცია, ყველა შესაბამისი სამსახურის მუშაკი და მიზანსაც მიაღწიეს. მოსწავლეებმა აქ, სოფელ გუმბათში თავიანთი მიზანმიმართული და პრინციპული მოქმედებით სოფლის საზოგადოებას დაანახვეს, რომ თუ ადამიანები მოინდომებენ, ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა მოქალაქეობრივი აქტივობა, რომ თითოეულმა პიროვნებამ საკუთარ თავში უნდა ეძებოს შესაძლებლობები სიძნელეთა დაძლევისა.

აქვე დავსძენთ, რომ ჩვენი სტუმრობის დღეს გვარიანად თოვდა წალკაში და ნამქერს გზა თითქმის ჩაკეტილი ჰქონდა, მაგრამ რაიონისა და სოფლის გამგებლებმა საკუთარ თავზე აიღეს მისასვლელი გზის გასუფთავება, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ, მაგრამ უდაოა, გულწრფელ მადლობას იმსახურებენ გუმბათის სკოლის ის მოსწავლეები, რომლებიც თავიანთი აქტიური დამოკიდებულებით სოფლის პრობლემებთან უფროსებს მაგალითს უჩვენებენ.

ამ პრობლემათაგან მოსწავლეებმა სპეციალურ თვალსაჩინოებაზე დაწერეს: სკოლისათვის სააქტო დარბაზის არქონა და ზოგადად, სკოლის არაშესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა.

მოსწავლეთა მიერ თემში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილიც სწორედ რომ სკოლის შენობის მოწესრიგებას ითხოვს, არის სხვა პრობლემებიც, უმუშევრობა, აზარტული თამაშებისადმი სწრაფვა...

გაკვეთილის ჩატარების მიზანსა და შედეგებზე ვრცლად ისაუბრა პროგრამა „მომავლის თაობის“ ქვემო ქართლის კოორდიანატორმა **ლია ღუღუნიშვილმა**. გაკვეთილი შეაფასეს და კმაყოფილება გამოთქვეს მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, სართიჭალის, რუსთავის, თეთრი წყაროს, თბილისის სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ სოფელ გუმბათს მაღალპროფესიონალ პედაგოგთა გუნდი ჰყავს და რომ თითოეული მათგანი სწავლების თანამედროვე ტექნოლიგიების გამოყენებით, ტრენინგებზე მიღებული ცოდნით და სიახლეების ძიებით მაღალ შედეგებს აღწევს საგნის „სამოქალაქო განათლების“ სწავლა-სწავლებაში.

სკოლის დირექტორი **რამაზ ძირკვაძე** კი თავის პედაგოგ მეუღლესთან ცირა კახაძესთან და მთელს კოლექტივთან ერთად მზადაა, რაიონში წარმატებებით გამორჩეულ საგანმანათლებლო ობიექტად აქციოს მშობლიური სოფლის მშობლიური სკოლა, რადგან იცის, რომ ამ სკოლის ნიჭიერი მოსწავლეები სოფლისათვის ნამდვილი ბედნიერებაა.

P.S. იმედს ვიტოვებთ, რომ წალკის რაიონში გამოჩნდება პატრიოტი ქველმოქმედი, რომელიც მამულიშვილური განწყობით გაარემონტებს გუმბათის სკოლას.

ლია მარტაშვილი

სიახლე რუსთავის აკადემიურ ქალაქში

ამ სასწავლებლის ისტორია არცთუ დიდი ხნისაა, მაგრამ ქალაქში გახსნილმა ფაქტიურად ახალმა აკადემიურმა ქალაქმა სასწავლო კორპუსებით, ყველა დამატებითი მნიშვნელოვანი ნაგებობით, სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესისათვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურით, საშუალება მისცა ინსტიტუტის ადმინისტრაციას და პედაგოგიურ კოლექტივს პირველივე კურსდამთავრებულების სახით სერიოზული განაცხადი გაეკეთებინა არა მხოლოდ რუსთაველების, არამედ მთლად საქართველოს წინაშეც, სადაც ამ ინსტიტუტის არაფორმალური სწავლების 23 ცენტრია უკვე და თითოეული მათგანი რამდენიმე დასახელების პროფილურ მიმართულებაზე იღებს და ასწავლის ახალგაზრდებს.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ რუსთავის სასწავლო სათაო ცენტრში მაღალ დონეზე მუშაობს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კაშირი, რომელიც წელს საქართველო-ამერიკის მეგობრობის ინსტიტუტის ეგიდით მიიღებს პირველ სტუდენტურ ნაკადს. აქვეა ი. გოგებაშვილის სახელობის მუზეუმი და ბიბლიოთეკა, სადისკუსიო კლუბი, ქორეოგრაფული სტუდია, სასადილო, კაფე-ბარი, დაცვის სამსახური, მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრი, უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი და პენსიონერ პედგოგთა პანსიონატი, რომელიც სულ ჩქარა დაიწყებს მოქმედებას.

სასწავლებლის ყველა ფილიალში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, გამარჯვებული სტუდენტები უკრაინის დედაქალაქს – კიევს სტუმრობენ და ბევრ ღირსშესანიშნაობასაც ეცნობიან იქ.

ხელმძღვანელს – აკადემიკოს **გარი ჩაფიძეს** მიაჩნია, რომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია და მწვერვალებისკენაც გაიხედა, მაგრამ თანამოსაქმეებთან ერთად მისი ცხოვრების წესია, მწვერვალებიდან ახალი მწვერვალებისაკენ მზერა.

ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრი ყოველწლიურად აცხადებს მიღებას 9 და 12 კლასდამთავრებულთათვის, ასევე მიიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები სწავლისაგან მოუწყვეტლად.

კომპიუტერული ტექნოლოგიები;
დაცვა და პატრულირება;
კრიმინალისტიკა;
ბანკის ოპერატორი;
ფარმაცევტის თანაშემწე;
სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი;
ექთნის თანაშემწე;
ოჯახის ექთანი;
კბილის ტექნიკოსი;
ლაბორანტი.

სწავლება სამწლიანია.
წლიური გადასახადი 700 ლარი.
კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან (ქართულ, უკრაინულ, ინგლისურ) ოქროსბეჭდიან სერთიფიკატს.
მისამართი: 3700, ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5, აკადემიური ქალაქი, კორპუსი №5. ტელ: (0341) 22 25 00; 27 94 00.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ახლო მომავალში რუსთავის აკადემიურ ქალაქში საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ეგიდით შეიქმნა და ამერიკის „წმინდა გიორგის უნივერსიტეტის“ მფლობელობაში მყოფ „პენსილვანიის პროფესიულ ინსტიტუტთან“ ერთობლივ საკოლეჯო პროგრამას წარმართავს ახალი ქართულ-ამერიკული კოლეჯი. აღნიშნულ სასწავლებელში სწავლება სამწლიანია, წლიური გადასახადი 1000 ლარს შეადგენს. საყურადღებოა ისიც, რომ პირველი კურსის წარმატებით დახურვის შემდეგ სტუდენტები არამხოლოდ თავისუფლდებიან გადასახადისაგან, არამედ სოლიდურ სტიპენდიასაც მიიღებენ.

უკრაინაში უკვე შეიქმნა უკრაინულ-ამერიკული კოლეჯი, და აქაც, ამ ტიპის სასწავლებელს ამერიკულ მხარესთან ერთად საქართველო რომ ხსნის, 8 დარგობრივი მიმართულება ექნება. ეს მიმართულებებია:

1. ბაგა-ბაღის მასწავლებელი.
2. სკოლამდელ ბავშვთა აღმზრდელობითი ფსიქოლოგია.
3. ინგლისური ენის მასწავლებლის პედაგოგიკა.
4. კადრების მენეჯმენტი.
5. სკოლის მენეჯმენტი.
6. საერთაშორისო ბიზნესი.
7. საერთაშორისო იურისპრუდენცია.
8. სანოტარო საქმე.

სწავლება სამწლიანია, მიიღებიან 9 და 12 კლასდამთავრებულები. კურსდამთავრებულებზე გაიცემა საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ამერიკული დიპლომი.

სწავლისთვის იქნება შესაფერისი გარემო კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, კომუნიკაციებით, კომპიუტერული აღჭურვილობით და საწავლო-აღმზრდელობითი გარემო სხვა შესაფერი ატრიბუტიკით.

მოწოდება

დღეს, როგორც არასდროს

ქართველ საამაყო მამულიშვილთა შორის იაკობ გოგებაშვილის სახელი გამორჩეულია. იგი მათ შორისაა, რომელთაც საქართველოს დღემდე ეროვნულობა შეუნარჩუნეს და ვისი სახელითაც მომავალშიც იამაყებს ქართველობა.

XIX საუკუნის ამ უბადლო და ერისათვის თავგადადებულმა კაცმა ფასდაუდებელი საგანძური დაუტოვა ქართველობას.

იაკობის შექმნილი უმშვენიერესი „დედა ენა“, რომელსაც შინაარსითა თუ ფორმით პრეცენდენტი არა აქვს მსოფლიოში, დღესაც სანუკვარი წიგნია ჭეშმარიტი ქართველისათვის.

უფრო მეტიც, საუკუნის მანძილზე ამ წიგნმა, უდიდეს ქარტეხილგადატანილმა, აჩვენა, რომ სწორედ მისით საუკეთესოდ, ადვილად და თანმიმდევრულად შეისწავლება პატარების მიერ 33 ქართული ასო-ბგერა. თაობებმა ამ უმშვენიერესი წიგნითა და იაკობისეული პაწია მოთხრობებით ისწავლეს ის, რაც მუდმივად უნდა ამშვენებდეს ქართველ ძირძველ ერს ზნეობრიობის, სიკეთის, სიყვარულის, შრომისმოყვერეობის, ურთიერთთანადგომის და სხვა, დღესაც დასაფასებელი ღირებულებების თვალსაზრისით.

ბედნიერებაა, რომ საქართველოში კვლავ არსებობს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოება და არსებობენ რეგიონული ორგანიზაციები ადგილებზე, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ჭეშმარიტად მაღალპროფესიონალი და ეროვნული ცნობიერების პედაგოგები, ვისთვისაც ნამდვილად აღმატებული თანამდებობაა პედაგოგობა.

სწორედ ასეთ პედაგოგთა გამოისობით ტარდება ადგილებზე უამრავი ღონისძიება ამ საზოგადოების ეგიდით: ეწყობა ი. გოგებაშვილის საიუბილეო კვირეულები, ნახატების გამოფენა, ტარდება ლიტერატურული საღამოები, სკოლები სტუმრობენ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს ვარიანში, ტარდება გაკვეთილები „დედა ენაზე“, ანბანზე, ტარდება თეორიული კონფერენციები, ეწყობა წიგნის დღეები, ყველა სკოლაში იხსნება ი. გოგებაშვილის კლას-კაბინეტები, გამოიცემა სპეციალური გაზეთები და ამ ყველაფერს კოორდინაციას და ხელმძღვანელობას უწევს ი. გოგებაშვილის საზოგადოების პედაგოგთა კავშირი აკად. გარი ჩაფიძის ხელმძღვანელობით, ადგილებზე თავის მოადგილეებთან ერთად.

აპრილში გათვალისწინებულია ი. გოგებაშვილის საზოგადოების მორიგი რესპუბლიკური ღონისძიება – სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება სახელწოდებით „ენაი საკვირველი“.

და მაინც, დღეს, როცა ასე ძალიან უჭირს ქართულ ენას და მას მართლაც სერიოზულად სჭირდება მოვლა, მზრუნველობა და გაფრთხილება პრაქტიკულად, დაგვეთანხმება მკითხველი, ალბათ ძნელია ამ საზოგადოების საქმიანობის წარმოდგენა ჩვენი ქვეყნის მთავრობისაგან ყოველგვარი დაფინანსების გარეშე.

ი. გოგებაშვილის საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების რუსთაველ პედაგოგთა ჯგუფი ინიციატივით გამოდის მთელი საქართველოს პედაგოგთა წინაშე და მოუწოდებს მათ, რომ საქართველოს მასშტაბით თითოეულმა პედაგოგმა წელიწადში ერთხელ ერთი ლარი შეწიროს ამ საზოგადოებას შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: მარტოხელა პენსიონერ პედაგოგთა მორალური და ფიზიკური თანადგომისათვის, სოციალურად დაუცველ ახალგაზრდა პედაგოგთა თანადგომისათვის, ღირსეული პედაგოგებისათვის ჯილდოების, სიგელების, მედლების გადაცემისათვის, სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის თუნდაც მცირეოდენი შეწევნისათვის, ვიქტორინების, კონკურსების ჩატარებისათვის, მწერლებთან, ენათმეცნიერებთან შეხვედრისათვის, ახალი გამოცემებისათვის და სხვა.

თითოეული პედაგოგი, მშობელი, ქალი, განათლების, კულტურის, ხელოვნების დარგის მუშაკები თუ გაითვალისწინებენ იმას, რა დიდი როლი აკისრია მშობლიური ენის სიყვარულის აღზრდას მოზარდში და ზოგადად, დედა ენის დაფასებას, მოვლას და გაფრთხილებას, ალბათ ძნელი არ იქნება მათი მხრიდან ამ ინიციატივის გაზიარება იმ პირობით, რომ ყოველი შემოსული ლარი იუველურად იქნება გათვლილი და ბოლო თეთრამდე მოხმარდება წინასწარ გამიზნულს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, რომ წინა ხელისუფლების 9 წლიანი მმართველობის ჟამს ყველანაირი დაფინანსება შეუწყდა ი. გოგებაშვილის საზოგადოებას და ამჟამადაც უყურადღებოდაა მიტოვებული იგი.

მთელი ძალისხმევა ჩვენზეა, ძვირფასო პედაგოგებო, მშობლებო, ქართული ენის გულშემატკივრებო!

უნდა გვაშინებდეს თითოეულ ზრდასრულს, რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები თვალსა და ხელს შუა კარგავენ საქართველოში მოყვრულად მოსული მტრების გარემოცვაში ძირძველ ქართულ ენას, უარესიც, ახალგაზრდა თაობის ენად იქცა ბილწსიტყვაობა, ჟარგონით, ბარბარიზმებით, ნეოლოგიზმებით საუბარი, ამ ენას, უკვე უტყუარი ფაქტია, შეგნებულად ღალატობენ და ამახინჯებენ „რუსთავი 2“-ის, „იმედი“-ს და სხვა ზეპირი თუ ბეჭდვითი მედიის საშუალებათა მუშაკები.

ენა ხელწამოსაკრავ და იაფფასიან ღირებულებად აქციეს ერის მოძულეებმა.

ი. გოგებაშვილის საზოგადოება ფხიზლად დგას რა ენის ღირებულების სადარაჯოზე, გთხოვთ, გაიღოთ სიმბოლური ერთი ლარი ერთი წლის განმავლობაში უამრავ სასიკეთო საქმეთა საკეთებლად.

მისი ჩარიცხვა შეგიძლიათ საბნკო ანგარიშზე: GE42BG00000006965500
სს. საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
ვიტოვებთ იმედს თქვენი თანადგომისა.

სასიკეთო საქმეთა საკეთებლად

გერონტი გოგინაშვილი კარგად ცნობილი კაცია შიდა ქართლის რეგიონში, ქართველ მწერლობაშიც. მას დიდ პატივს სცემენ ქალაქ გორში, აფასებენ და სიამოვნებით ეცნობიან მის მიერ გამოცემულ ახალ წიგნებს.

„კაცი-რაინდი“ – ასე ჰქვია 2010 წელს გამოცემულ დოკუმენტურ წიგნს, რომელიც გორელებისათვის კარგად ცნობილი მოქალაქის, მეტად კოლორიტული პიროვნების, **შოთა გაგნიძის** ხსოვნას ეძღვნება. ავტორი გულწრფელად, დამაჯერებლად აღწერს ლაღი, თავისუფალი პიროვნების, ცოლ-შვილის, მოყვასის სიყვარულისა და სითბოსათვის დაბადებული, მაგრამ უდროოდ გარდაცვლილი კაცის ბიოგრაფიას, მისი ცხოვრების დრამატულ ეპიზოდებს და მკითხველს თვალწინ უცოცხლებს მართლა რაინდ ქართველს, რომელმაც ბევრი სიკეთით დაამახსოვრა თავი გზადშეხვედრილთ.

ბოლო დროის წიგნებიდან საინტერესოდ იკითხება გერონტი გოგინაშვილის ვრცელი ნაწარმოები სახელწოდებით – „ულვაშა“, რომელსაც იგი ახალგაზრდობას უძღვნის.

ეს წიგნი თენგიზ სამადაშვილის უიღბლო სიყვარულის შესახებ მოთხრობილი ისტორიაა, ნამდვილი ამბავია, რომლის გაცნობა მართალი და ჭკუისსასწავლებელ გაკვეთილად გამოადგება საზოგადოებას.

გერონტი გოგინაშვილს, როგორც ქართველი მწერლის უცვლელ თემას და დიდებული ქართველის სახელს წარმოადგენს იოსებ სტალინი, რომელსაც მან 2015 წელს წიგნი მიუძღვნა.

„–ეს წიგნი დამაწერინა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უგუნურმა განკარგულებამ და მისი სისხლიანი ბანდის მოქმედებამ – გორში იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ძეგლის აღებამ“, – წერს წინასიტყვაობაში ავტორი.

გამოცემა წარმოადგენს მცირე დოკუმენტურ მასალათა კრებულს ი. ბ. სტალინის პირადი ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, რომლის მიზანია ნამდვილი ბელადის წარმოჩენა, ანტისტალინიზმის თანამოაზრეების ცილისწამების უარყოფა და სტალინით დაინტერესებული ქართველი მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება რეალური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ავტორის თხრობით.

წიგნის შედგენისას ქართველ ავტორს უსარგებლია სხვადასხვა ავტორის თემატური გამოცემით სტალინზე და პერიოდულ გამოცემებში მოძიებული ინფორმაციებით.

გერონტი გოგინაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია, ნიკო ლომიურის პრემიის ლაურეატი. მან, თავის დროზე უდიდესი ამაგი დასდო იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს მისთვის გამოყოფილი სარემონტო სახსრებით. იგი დღესაც აგრძელებს მუშაობას ი. გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებაში და თავისი ასაკის მიუხედავად, ფხიზლად დგას ეროვნული ღირებულებების სადარაჯოზე. სულ ახლახანს იგი აირჩა ი. გოგებაშვილის პედაგოგთა საზოგადოების შიდა ქართლის ორგანიზაციის კოორდინატორად, რაც არამხოლოდ პატივია მისთვის, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობაც უამრავ სასიკეთო საქმეთა საკეთებლად.

გვერდი მოამზადა
ლია მარტაშვილმა



თბილი სიტყვა დირექტორზე

მოვეფეროთ ერთმანეთს – ესაა მთავარი!

სათნო, ფაქიზი, ყოველთვის მშვიდი და გაწონასწორებული, ღვთისნიერი, მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი დამცველი, მოყვასის ბედზე და მის გასაჭირზე მუდმივად მზრუნველი, თბილი და მოსიყვარულე მისი თითოეული კოლეგისადმი, ზომიერად მომთხოვნი და კატეგორიული, რაც აუცილებელია ყოველი ხელმძღვანელისათვის, ყოველგვარი სიახლისა და ინოვაციის წამომწყები და სკოლაში შემომტანი, მაღალი პროფესიონალი და დიდი ადამიანური ღირსებით შემკული, დიდებული დედა და მეგობარი... კიდევ რამდენი რამის თქმა შეიძლება თბილისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორზე, ქალბატონ **მარინე გიგაურზე**, რომელიც ჯერ მხოლოდ მეორე წელია ხელმძღვანელობს ჩვენს სკოლას. მის კოლეგებს ისეთი განცდა გვაქვს, თითქოს ათეული წელია აქ მოღვაწეობდეს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი საჭირბოროტო საკითხი მშვიდ გარემოში წყდება, რაც ასე იშვიათი და სანატრელია დღევანდელ პრობლემებით აღსავსე ყოველდღიურობაში. იგი არა ჰგავს ყოყლოჩინა დირექტორებს, რომელთაც, სამწუხაროდ, ბევრს ვიცნობთ.

ქალბატონი მარინეს საზრუნავია სკოლის თითოეული მოსწავლე, მისი ბედი, მისი პირადი, თუ ოჯახური პრობლემები. ყველაფერი ეს გულთან ახლოს მიაქვს და სანამ ამ პრობლემებს არ მოაგვარებს, სიმშვიდეს ვერ პოულობს. მიზანს რომ მიაღწევს, ბედნიერი და გაბრწყინებულია. მისი აზრით, ბავშვია სამყაროს ცენტრი და მან მხოლოდ საუკეთესო უნდა მიიღოს პედაგოგისგან. თითოეული მოსწავლე იღებს კიდეც ამ საუკეთესოს მე-9 საჯარო სკოლაში. მშობლებთან შეთანხმებული და ნორმალური ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია ბავშვებთან დამოკიდებულებაში სასურველი შედეგების მიღწევა. ქალბატონი მარინე ყოველთვის ანგარიშს უწევს მშობლების მხრიდან წამოსულ რჩევებს, თუ ინოვაციურ წინადადებებს და პრაქტიკაშიც ნერგავს მას.

სასკოლო ღონისძიებების დადებითი შედეგები კარგა ხანია გაცდა რაიონის ფარგლებს. მრავალი მადლობა და ჯილდო დავიმსახურეთ წარმატებული და თანამედროვე გადაწყვეტისათვის ქალბატონი მარინეს ხელმძღვანელობით. იგი უთუოდ კრეატიული, შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული. ასე, რომ კიდევ მრავალი წარმატება ელის სკოლის კოლექტივს.

კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება ჩვენს დირექტორსა და მეგობარზე.

გვინდა, ღირსეულ ქალბატონს ვუსურვოთ, ჯანმრთელობა, გამართლება თავის საქმეში და ადამიანური კეთილდღეობა. გვინდა, მას მუდამ მისთვის დამახასიათებელი საოცარი ღიმილი დასთამაშებდეს სახეზე და ის სიყვარული და სითბო მუდამ სუფევდეს პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ურთიერთობაში.

თბილისის მე-9 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

პოლიტიკური ელფერით

რომელია მამა, ანუ მშობელი №1?

დიდი ხნის წინათ ქუთაისის პედინსტიტუტში, **ლუკა ჭელიძის** რექტორობის დროს, ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფესორს **გოცირიძეს** საცდელი ძაღლთსაშენი ჰქონდა მოწყობილი. გადანასკვულ ძაღლებს აკვირდებოდა და ჩიფჩიფებდა: რომელია ძუ? რომელია ხვადი? ეს ეპიზოდი მსოფლიოში დღეს ატეხილმა ერთსქესიანთა ქორწინების აჟიოტაჟმა გამახსენა. პროგნოზებით დახლართულ ფიქრებს მივუყვები. შედეგები?

დავუშვათ, მამაკაცი მამაკაცის მეუღლეა. დღეს და ოდითგან ბუნებრივი სიყვარულით შეუღლებულ ქალ-ვაჟს შორის ჩნდება კონფლიქტი, თორემ... რომელს ეკუთვნის მამობა, ანუ №1 მშობლის პრიმატი, რომელს – დედობა, ანუ №2 მშობლის როლი? ამაზე ხომ უთუოდ, წაკინკლავდებიან? ასე მოხდება მდედრობითი სქესის პარადიგმაშიც. დავუშვათ, თანაცხოვრების ეს პრობლემა ადაპტაციის პრინციპით მოგვარდა.

ახლა მეორე, უფრო დილემური პრობლემა: შვილები, გამრავლება, შთამომავლობა. სხვისგან გაჩენილ ბავშვს იშვილებენო! – წამოიძახა ვიღაცამ, კეთილი და პატიოსანი. ისევ დავუშვათ: გეომეტრიული პროგრესიით მომრავლდნენ ერთსქესიანები. მოშვილოსნე დედები აღარ დარჩნენ? „სინჯარის“ ბავშვებიო! – ისევ წამოიძახა ვიღაცამ. ვაიმე, ჩემო თავო: სად გაქრება ადამიანური ღირებულებები: ბუნების მონიჭებული სიყვარული, მეგობრობა, ზნემაღალი გრძნობები, ის ყველაფერი, რაც ამშვენებდა კაცობრიობას და რისთვისაც ღირდა ამქვეყნად მოსვლა? ნუთუ დაეცა ადამიანის გონი, საზრისი ცხოველების დონეზე დაბლა? სადმე გინახავთ, გსმენიათ, წაგიკითხავთ ერთსქესიანი ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავლების სექსი? შეგნებით ცხოველები ადამიანებზე მაღლა დგანან?

მხოლოდ ამ პირობით

ჯონი – ბესოს: ამას, ამას, ამას, იმას, იმას, იმას შეასრულებ? მოგცემ ევროკავშირის მაპს.

ეს, ეს, ეს, ის, ის, ის თუ გააკეთე, მოგცემ ნატოს მაპს.

ასე, ასე, ასე, ისე, ისე, ისე თუ მოიქცევი, ყველა ამ დავალებას თუ შეასრულებ, მოგცემ ევროკავშირ-ნატოს მაპს.

ბესო – ჯონის: ბოლო-ბოლო, როდის მიგვიღებთ?

ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები!

კადრების დეფიციტიაო და მაღალ თანამდებობებზე **ნაციონალები** დატოვეს. აყვირდნენ **„ოცნებელები“**, ამისთვის ვიბრძოდითო?!

ოცნებელები დანიშნეს მაღალ თანამდებობებზე. ახლა **ნაციონალები** აყვირდნენ: აშკარა ნეპოტიზმიაო.

პატივისცემა დედაენისა

შუაგულ ქართლში **გორის „დილა“** და **თბილისის „დინამო“** ფეხბურთში სუპერთასზე თამაშობდნენ. სტადიონზე, ტრიბუნებზე, ფეხბურთელთა მაისურებზე – ყველგან ინგლისური წარწერები იყო?!

პაროდისტი **მოსე მწერალი**

პედაგოგის პოეტური პალიტრა

ვაჟას ხუცეური მემკვიდრე

ვაჟას კუთხიდან ორმოცი წლის ნაღვაწ პედაგოგს – **ლამარა ზაქაიძეს** პოეტური სული გენეტიკურად გამოყოლია. ასევე, როგორც ბებია, ამაყობს შვილიშვილით – **ანი ჯაჯანიძე** სამეჯლისო ცეკვების ვირტუოზია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამარჯვებული. შარშან მკითხველმა დააგემოვნა **ლამარა ზაქაიძის** პოეზიის ეშხი და სილამაზე. ამჯერადაც გთავაზობთ ხუთ ახალ ლექსს.

გლობუსი

გლობუსს ვატრიალებ ამ გაბუშტულს,
მერიდიანები დარბიან
ა, იქ, ორ ზღვას შუა, ჩემი სამშობლოა,
თვალებს გავადევნებ დარდიანს.

ცა-მიწავ, არაფერი აურიო,
ნელა იტრიალე სანატრელო,
ისე არა ჰქნა, რომ გაუტიო,
რუკიდან მოისროლო საქართველო!

რა დროს სიბერეა

ჩვენ მოვხუცდებით,
ჩაგვიდგება თმებში ზამთარი.
დრო გავა, ჩემო,
ეს ფურცლები გაყვითლდებიან,
მოვა სხვა ხალხი
სხვა ხალისით, სხვა მთით გამთბარი,
სხვა დრო დადგება,
ასცდებიან დღეებს სევდიანს.
ჩვენ არ მოვკვდებით,
ჩვენ სიცოცხლე ისე გვწყურია,
ჯერ, ხომ,
ჯერ მხოლოდ დილაა და გაზაფხულია.

დალოცვილი სიტყვები

ნეტარების ბურუსში
ჩაფლულს სიტყვათსაცავში,
ვერცხლის ძაფზე ამისხამს,
რაც ხელთ მომყვა ამ წამში.

ბგერებს ვეძებ, ვჩურჩულებ,
არც გემო მაქვს, არც სმენა,
დაილოცოს ამ ქვეყნად
ფიქრის სიტყვად გაჩენა.

მეუღლეს

იმღერეო, – სიო ეტყვის მთასა,
ვიმღერიო, მთა ნაბადზე წვება,
არწევს ქარი ჩაძინებულ მთას და
ნანასავით ჩვენს სიყვარულს ყვება,
ეგებ ჩვენი ნახვა უნდა მთასა?!

ქართული ენის დღე მოდის

„მეფე“, „მეუფე“, „უფლება“, „ფლობა“
„დაუფლება“ და „დაუფლებული“
ხელის უფალი, თავის უფალი
– აზრი სიტყვაში ჩადუღებულა,

მარხვა, დამარხვა, დაფლვა, საფლავი,
დიდი, დიდება და დიდებული,
ზე ცა, უფალი, სკნელი, ქვესკნელი,
– რა გენმა შექმნა ენა ქართული?!

გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ!

ახლა მარტის თვეა, გაზაფხულის მზეა, ჩვენი კოლეგების დაბადების დღეა!

ჩვენი ნათელა ქიმერიძე – 45

ძვირფასო ნათელა, სახალხოელები გილოცავთ დაბადების დღეს! არ იფიქროთ, ჩემთვის ორი თარიღი არ გაიმეტესო. ქალი მუდამ ლამაზია და ახალგაზრდა, ამიტომ ასაკს არც ეკითხებიან და არც აღნიშნავენ. ციფრი 45 კი **„სახალხო განათლებაში“** თქვენ თავდადებულ მოღვაწეობას ასახავს. თქვენი მსახურება, გარჯა ამ გაზეთისთვის გმირობის ტოლფასია. ჩვენ, თქვენმა კოლეგებმა, გვარი „გამოგიცვალეთ“ და ხუმრობით **„ნათელა შეწირული“** დაგარქვით, 30 წლის მანძილზე კლასიკური გიმნაზიის სახელოვანი დირექტორის ლიანა შეწირულის ანალოგიით.

მუდამ გულთან მიგქონდათ და მიგაქვთ ჩვენი რედაქციის წარმატება-წარუმატებლობა. ბევრმა ქარიშხალმა გადაგვიარა.

მეოთხედი საუკუნეა, გვებრძვიან, ჩვენს ჩაძირვას ცდილობენ. ცუდის გარდა, ჩვენთვის კარგი საქმე არავის გაუკეთებია, დახმარების ხელი არავის გამოუწოდებია.

პირიქით, განათლების ყოფილმა მინისტრმა, თამაზ კვაჭანტირაძემ, რომელიც თავს **„დიდ ილიელს“** უწოდებს, სწორედ ილიასა და იაკობის გაზეთს მოუღო ბოლო, ძირს დასცა მისი ღირსება და ავტორიტეტი.

კიდევ ბევრი სხვა უბედურებაც დაგვატყდა თავს, რომელიც „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“. ნერვებს ნუ ავიშლით, ღმერთი ყველას სამაგიეროს მიუზღავს. **„იგი თავადაც დაილეწება, დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად“**.

სახალხოელები თქვენი ხელმძღვანელობით არ დავეცით. ავისმოსურნეთა წინაშე არ დავიჩოქეთ. მართალია, ბევრი გაგვექცა, მაგრამ 5-6 კაცი აწგანსვენებული **ლევან ჩიქვანაიას** თანადგომით ქედუხრელნი დავრჩით. ჩვენი ლოზუნგი იყო და არის მუხრან მაჭავარიანის პოეტური სტრიქონები: **„ვერ დამადუმონ, ვერ დამძალონ, თუნდაც ჩამქოლონ“**. ამ სიმტკიცის ჭირიმე!

კარგად ვიცით, რა რუდუნებით, ჭიანჭველის ენერგიით შრომობდით მუდამ, რომ გაზეთის მომდევნო ნომერი უკეთესი გამოსულიყო, ჟურნალისტურ ნიჭს არ იშურებდით ამისთვის. არ გწამდათ და არ გწამთ ისეთი რედაქტორი, რომელსაც ერთი წერილითაც არ დაუმშვენებია თავისი გაზეთი.

ხელხვავიანი იყავით მუდამ და ხართ ახლაც. ერთხელ ხუმრობით თქვით: რაც ამ გაზეთში ჩემი წერილებია, ალბათ, ოცი სქელტანიანი ტომი გამოვაო. ხშირად წუხხართ ჩვენი გაზეთის ბედზე, ჩვენს მერე ვინ უპატრონებსო მას. ერთი დიდი საქმე მაინც გააკეთეთ: წიგნად აკინძეთ და ისტორიას შემოუნახეთ გაზეთის 21-ე საუკუნის რამდენიმე კომპლექტი.

კიდევ ორიოდე წელი და **„სახალხო განათლება“ 90 წლისა გახდება.** ჩვენ ღირსეულად უნდა აღვნიშნოთ მშობლიური გაზეთის იუბილე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, სულიერ და ფიზიკურ მხნეობას გისურვებთ!

„სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

ჩვენი გენადი სანაია – 85-55

ძვირფასო გენადი, გილოცავთ დაბადების **85 წლისთავს!** უკვე დაიმკვიდრეთ ლეგენდარული ფოტორეპორტიორის სახელი. ვინმეს რომ ეთქვა „ფოტოგრაფი“ ხარო, ყურს აუწევდით, მე ფოტორეპორტიორი ვარ, გრაფი შენ იყავი, თუ კარგიაო.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ფეხმოუცვლელად ერთ რედაქციაში მოღვაწეობა გმირობაა, აბა, სხვა რა არის? ძალზე იშვიათად შეხვდებით ასეთ მაღალ პროფესიონალ, პატიოსან, ამაგდარ, დიდად ნაღვაწ კაცს საქართველოში. დიახ, **გენადი სანაია „სახალხო განათლების“** სიამაყეა, ამ გაზეთის ისტორიაში ეპოქის შემქმნელია – პოპულარული, გულთბილი, ღიმილიანი, ალალმართალი.

ჩვენ, სახალხოელებს, ბევრი რამ შეგვიძლია მოვიგონოთ მასთან თანამშრომლობიდან.

მაღალპროფესიონალიო, – ვთქვით. ბევრს აწვალებდა რესპოდენტს, ხან აქეთ მოატრიალებდა, ხან – იქით, არ მოეშვებოდა, სანამ ობიექტივში საუკეთესო კადრი არ დაფიქსირდებოდა.

ერთხელ ეშხში შესულ პოეტ **ნონეშვილს** ლექსის კითხვა შეაწყვეტინა: ცოტა ხანს აქეთ მობრუნდით, ბატონო იოსებო. იოსებს იმ ლექსის გაგრძელება დაავიწყდა და სხვა ნაწარმოები წაიკითხა.

რუსთაველის დღეებში გენადის შოთას ძეგლის გადაღება დაავალა რედაქტორმა. გენადიმ აქეთ-იქით ბევრი უტრიალა ძეგლს, მომგებიანი პოზა რომ შეარჩია, უბრძანა: **„არ გაინძრე! ვიღებ“**.

პოპულარულიო, – ვთქვით. დიახ, განათლების სისტემის მუშაკებს პირზე ეკერათ **გენადი სანაიას** სახელი.

რედაქციის ყველა ჟურნალისტზე უკეთ მას იცნობდნენ და იცნობენ ახლაც. ეს ბუნებრივიცაა, **55 წელი ერთ გაზეთში მუშაობა** ხუმრობა საქმე არ არის. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს განათლების განყოფილების მოწვევით თელავს ვესტუმრეთ. ჟურნალისტებს თან გვახლდა მთავარი რედაქტორი **ნიკო შველიძე**. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს კახელებმა. ავტობუსიდან რომ ჩამოვედით, მასპინძლები გენადის შემოეხვივნენ, ის ეგონათ რედაქტორი. აბა, რა ექნათ, ნიკოს პირადად არ იცნობდნენ, არასოდეს ენახათ.

გენადი სანაია ფოტოკორესპონდენტთა ბევრი კონკურსის გამარჯვებულია. კვიცი გვარზე ხტისო, მამის კვალს გაჰყვა **დათო სანაია**. იგი ჩინებული მხატვარია.

ჩვენ, სახალხოელებს, გენადის მეგობრებს, იმედი გვაქვს, ჩვენი მშობლიური გაზეთის **„სახალხო განათლების“ 90 წლის საიუბილეო გვერდებს გენადი სანაიას** ფოტოები დაამშვენებს.

85 წლის იუბილარს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს – 100 წლის თამასას გადავლებოდეს!

„სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

სალაღობო

პაროდიატორიზმში

ოცმა ერთსქესიანმა ქორწინების შედეგად ოცი შვილი შობაო.

– ეს როგორ მოხდაო?

– როგორ და, პაწიები ვიშვილეთო.

აბა, ჰე, გამრავლდით, ვითარცა ლესბოსელები!

***

ლიბერასტის ოცნებაა – ესიზმრება ინგლისი,

ნატრობს: „ნეტავ, ერთად იყოს უელსი და თბილისი!“

***

წიგნის კითხვა ძნელი არის, კომპიუტერში იოლდების.

***

ამერიკული ჭინჭები ურჩევნია მას მამულსა.

***

მას დედის ძუძუ ტკბილი არაფრად შერგებია,

პედაგოგის დახმარება ვისაც დაზარებია.

***

ბევრ დაპირებულს ცოტა შესრულებული ჯობიაო.

***

ეს თბილისი თბილისურად

სულ მთლად გაგვიინგლისურდა.

***

ბურჭულაძეს ბილწი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა.

ხალხში გაგონილი ჩაიწერა **მოსე მწერალმა**

„არდავიწყება მოყვრისა“...

მზია ავალიშვილის გახსენება

მზია ავალიშვილი – ეს გვარსახელი კარგად ახსოვთ თბილისის 32-ე საჯარო სკოლის ძველი თაობის კურსდამთავრებულებსა და მასწავლებლებს. ის გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელი იყო და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

საქართველოს ულამაზეს კუთხეში – გურიაში დაიბადა. პედაგოგის ოჯახში აღზრდილს წიგნიერი ადამიანის განსაკუთრებული სიყვარული და დაფასება შეეძლო. მეგობრობაც გამორჩეული იცოდა. თუ შეგიყვარებდა, სითბოთი და სიყვარულით გაგალაღებდა. გაჭირვებისა და დალხინების ჟამს გვერდში დაგიდგებოდა. იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა გააჩნდა, როგორც ყველა გურულს, უბრალო ამბავს ისე შეაზავებდა, ისეთი ხალისით მოგითხრობდა, რომ არასოდეს დაგავიწყდებოდა.

შეუდარებელი მეუღლე, დედა და ბებია გახლდათ. შვილიშვილებთან ერთად საშუალო განათლების ატესტატის ასაღები თორმეტწლიანი გზა ზურიკელას ბებიასავით ხელმეორედ გაიარა.

დედმამიშვილობაშიც არ შეურცხვენია თავი. უბადლო და და დეიდა იყო.

მის სიტყვაკაზმულ ქართულს ბევრჯერ დავუმშვენებივართ. მეგობრებს დაბადების დღეების მისალოცად გამორჩეულ, ხელიხელსაგოგმანებ სიტყვებს შეურჩევდა ხოლმე.

თუმცა ავადმყოფობის გამო სკოლიდან ადრე წავიდა, პედაგოგიური კოლექტივის ჭირ-ვარამს ყოველთვის იზიარებდა.

წელს ავადმყოფობამ დარია ხელი, გაზაფხულზე კი სიკვდილმა უყელა – სწორედ დედის დღეს მიაბარეს თბილისის მიწას ამაგდარი ქალბატონი.

მსუბუქი იყოს მისთვის ეს მიწა!

32-ე საჯარო სკოლის ძველი თაობის პედაგოგები

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 6 (4527)
23 მარტი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009